THE ANTIRATIONALIST NATURE OF ROMANTISM

რომანტიზმის ანტირაციონალისტური ბუნება

Paata Gergaia
Professor at the Caucasus University, Doctor of Sciences
ORCID ID: 0000-0002-2263-7366
(+995) 599 42 35 50; pgergaia@cu.edu.ge

Abstract

The role and significance of Romanticism and Classicism as cultural movements in terms of aestheticizing and humanizing the world is substantial.

And science, too, has long been in collaboration with them:

Numerous scientific and literary works on these movements adorn the world cultural treasures.

Postmodernism does not lag behind the scientific and literary unity; that is to say, the replenishment of these treasures has not lost its relevance to this day.

And I, as a citizen of the modern cultural society, as a rationalist - a member of the "Hegel-Spinoza Club", will join the discussion with slightly different touches of my own.

These different touches evoke an inner feeling in me prompting to spend more time and, more importantly, much more resources on the subject in the future.

Key words: Classicism, Romanticism, Rationalism, Enlightenmen, Counterculture.

პაატა გერგაია
კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი
მეცნიერებათა დოქტორი
ORCID ID: 0000-0002-2263-7366
(+995) 599 42 35 50; pgergaia@cu.edu.ge

აბსტრაქტი

როცა სველია იასამანი, მაშინ სველია სამყაროც - რომანტიკოსთა ცრემლით სველია...

უყვართ რომანტიკოსებს სევდით გათანგული, მელანქოლიური სამყარო... და კლასიციზმს?

მითოსურ ხიბლში გადავარდნილი სამყარო, მერე კი, სიკვდილის კულტს გამოკიდებული და საფლავებზე მოფიქრალი არისტოკრატები, კლასიციზმს არ უყვარს.

გონზე „ამხედრებული" კლასიციზმი უფრო თავისუფლებით, რაციონალიზმით ერთობა.

დიახ, რომანტიზმისა და კლასიციზმის, როგორც კულტურული მიმდინარეობების როლი და მნიშვნელობა სამყაროს გაესთეტიურების,

ასევე მისი ჰუმანიზაციის თვალსაზრისით, ერთობ სერიოზულია.

და მეცნიერებაც, დიდი ხანია მათთან თანამშრომლობის რეჟიმშია:

ხსენებულ მიმდინარეობებზე, უამრავი სამეცნიერო და ლიტერატურული ხასიათის ნაშრომი ამშვენებს მსოფლიოს კულტურულ საგანძურს.

არც პოსტმოდერნი ჩამორჩა სამეცნიერო-ლიტერატურულ ფერხულს, ანუ ხსენებული საგანძურის შევსება დღემდე არ კარგავს აქტუალობას.

და მე, როგორც თანამედროვე კულტურული საზოგადოების მოქალაქე, როგორც რაციონალისტი - „ჰეგელ-სპინოზას კლუბის“ წევრი, ჩემი ოდნავ განსხვავებული შტრიხებით შემოვალ ამ განხილვაში.

განსხვავებული შტრიხები კი, მიტოვებს იმის შინაგან განცდას, რომ მომავალში აღნიშნულ საკითხზე, უფრო მეტი დრო და, რაც მთავარია, ინტელექტის ბევრად მეტი რესურსი დავხარჯო.

საკვანძო სიტყვები: კლასიციზმი, რომანტიზმი, რაციონალიზმი, განმანათლებლობა, კონტრკულტურა.

შესავალი

მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის რომანტიკოსთა ბუნტი კლასიციზმისა და განმანათლებლური რეალიზმის რაციონალისტური ტენდენციების წინააღმდეგ ცნობილია.

რომანტიზმი კულტურული მიმდინარეობაა, რომელიც აღმოცენდა, როგორც რეაქცია განმანათლებლობის ფილოსოფიაზე. მან თავდაპირველად თავი იჩინა ლიტერატურაში. ხოლოდ შემდეგ უკვე მეცნიერებასა და პოლიტიკაშიც შეაღწია.

დიახ, არისტოკრატიული ნოტით გამორჩეული რომანტიზმი, ანუ ანტირაციონალიზმი, ანტიინტელექტუალიზმი, პირველ რიგში, არის რეაქცია კლასიციზმის წინააღმდეგ.

მეთოდები

სტატიაში გამოყენებულია ავტორების ფილოსოფიურ ნააზრევთან შინაარსობრივი ანალიზის და შედარებითი ანალიზის მეთოდები.

შედეგები

1. ინტელექტს გამოკიდებული კლასიციზმი და ინტუიციასთან „„მონათესავე“ რომანტიზმი, საკუთარ ბუნებას ამ ნაშრომით კიდევ ერთხელ წარმოაჩენენ.
2. არისტოკრატიული ნოტით გამორჩეული რომანტიზმი, რაციონალიზმის და მისი შვილობილის - კლასიციზმის მშრალ, აბსტრაქტულ ფორმებს ვერ ჰგუობს და ესეც, ამ ნაშრომის ერთ-ერთი დამახასიათებელი შტრიხია.
3. მე, რაციონალიზმის, გონის თეორიის თავგადაკლულ ფანს, „ჰეგელ-სპინოზას კლუბის“ წევრს, რომანტიზმთან ჩემებური, ან სულაც - განსხვავებული დამოკიდებულება მაქვს. და ნაშრომმა ეს „ ახირებაც“ მოთმინებით დაიტია.

4. წინამდებარე ტექსტში მიმოხილულია ურთიერთდაპირისპირებული მსოფლმხედველობების წარმოშობის ისტორია და ნაჩვენებია მათი განვითარების საკვანძო ეტაპები.
   ტექსტისთვის უცხო არ აღმოჩნდა, განსხვავებული სააზროვნო ტრადიციებისადმი ისეთი ავტორების დამოკიდებულების გაცნობაც, როგორებიცაა - ბერგსონი, ჰერდერი, ჰეგელი, შოპენჰაუერი და შპენგლერი.
5. მე, როგორც სტატიის ავტორს, ჩემეული შეფასება მაქვს იმ ფაქტთან დაკავშირებითაც, რომ რომანტიზმი არ არის ისეთი უწყინარი „მამა აბრამის ბატკანი“, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს, რადგან სწორედ ნაციონალიზმთან, მის რადიკალურ ფორმებთან ვნებიანმა ურთიერთობამ, მე-20 საუკუნეს ორი მსოფლიო და არაერთი ლოკალური ომი აჩუქა.
   არც ეს პასაჟია უცხო ნაშრომისთვის.

მსჯელობა

ორივე მიმდინარეობის (რომანტიზმ-კლასიციზმი) შესანიშნავ დახასიათებას ვპოულობთ ბერგსონის ფილოსოფიურ ნარატივებში. „კლასიკური სული, - წერს ბერგსონი, - ინტუიციური ცოდნის საპირისპიროდ, ამკვიდრებს აბსტრაქტულ ცოდნას. ის ისწრაფვის, რომ ბოლომდე დაუქვემდებაროს გონებას თავისუფლება და გრძნობა. ლიტერატურასა და ფილოსოფიაში ის მთლიანად წარმოდგენების ტყვეობაშია. რომანტიკული სული, პირიქით, აღიარებს ინტუიციის უპირატესობას წარმოდგენაზე და იცავს ინსტიქტისა და გრძნობის უფლებებს... კლასიკური ესთეტიკა ამტკიცებს, რომ ნაწარმოები აგებული უნდა იყოს წინასწარ შედგენილი კანონებითა და თეორიებით. თეორია არ წარმოშობს აღფრთოვანებას, ხოლო წესები გამომდინარეობს საგნებიდან და არა პირიქით. წესებისადმი უკიდურესმა, რადიკალურმა გაყოლამ კი შეიძლება მოკლას ინდივიდუალობა, გენია, ანუ ერთადერთი ძვირფასი და ფასეული შემოქმედებაში” (ბერგსონი, 2009:121).

ასეთია ბერგსონისეული შეფასება რომანტიზმ-კლასიციზმისა. კარგი შეფასებაა. თუმცა, არც ჩემეული შეფასება იქნებოდა უინტერესო, რადგან ორივეს კარგად ვიცნობ: ერთ-ერთი მათგანი “ნათესაობს” რაციონალიზმთან, ხოლო მეორე - მტერია მისი. ამასთან, რიგი გარემოებებიდან გამომდინარე, ამ ორიდან ერთ-ერთის მიმართ მაინცდამაინც დიდი ხიბლით არ გამოვირჩევი. ამიტომაც, სწორედაც რომანტიზმზე გადავიტან უფრო სერიოზულ აქცენტს.

მაშ ასე: კლასიციზმი და რომანტიზმი, ანუ ანტიინტელექტუალიზმი და ინტელექტუალიზმი.

კლასიციზმი

ფილოსოფიურ-რაციონალისტური შეხედულებებისა და სამეცნიერო ცოდნის სიახლოვე უცხო არ არის.

ანუ ამ ერთიან საერთო ნაკადში, რაციონალისტური მსოფლმხედველობა და ეთიკური რაციონალიზმი ორგანულად ერწყმიან ერთმანეთს. ნიშანდობლივია, რომ მხატვრული კულტურაც, რომელიც თი-

თქოსდა თავისი სფეციფიკით შორსაა სამეცნიერო-რაციონალისტური პოსტულატებისგან, ერთგვარ ხიბლში აღმოჩნდა ამ თვალსაზრისით.

ასე რომ, მე-19-მე-20 საუკუნეების რეალისტურ მიმდინარეობებში (რეალიზმი, კრიტიკული რეალიზმი) საფუძველშივე იკითხებოდა მატერიალისტური და რაციონალისტური ტენდენციები.

რეალისტები მიმართავდნენ რეალური ცხოვრების ფაქტებს, აანალიზებდნენ სოციალურ გარემოს და ეყრდნობოდნენ ანალიზის შედეგებს. ასეთ სულიერ ატმოსფეროში ჩამოყალიბდა სისტემატიზაციის, კლასიფიკაციისა და ანალიტიზმის ნამდვილი კულტი. არა მხოლოდ ფილოსოფიაში, არამედ ლიტერატურაშიც ბატონობდა მეთოდოლოგიური პროცედურების ანალოგიაზე მორგებული მეტაფიზიკური აზროვნების მეთოდი, რომელიც განსაკუთრებით გამოვლინდა ისეთ მხატვრულ მიმდინარეობაში, როგორიცაა კლასიციზმი.

მე-17 საუკუნის ფრანგული კლასიციზმის გამოჩენილი თეორეტიკოსი, პოეტი ნიკოლა ბუალო შემოქმედებაში რენე დეკარტის რაციონალისტურ იდეებს იყენებდა: მშვენიერს ის აიგივებდა-გონიერთან, სილამაზეს-ჭეშმარიტებასთან. ლიტერატურის გამდიდრების წყაროდ ბუალო აღიარებდა მხოლოდ რაციონალისტურ პროცედურებს, ანუ ჭეშმარიტების შეცნობა უნდა მომხდარიყო მხოლოდ ინტელეტუალური ინტუიციის მეშვეობით.

შეიძლება ითქვას, რომ კარტეზიანობის რაციონალისტური მეთოდის ანალიტიკურობა, მტკიცებულებითი ხასიათი სავსებით შეესაბამებოდა ამ პერიოდში მხატვრული სამყაროს მიერ პირველ პლანზე ორატორული ფორმების წამოყენებას, ამასთან, მხარს უჭერდა არა მხოლოდ პროზის, არამედ პოეზიის ლოგიკურ, მშრალ ენასაც.

რომანტიზმი

ვიდრე რომანტიზმის მიმოხილვას შევუდგებოდეთ, საინტერესო იქნებოდა რომანტიზმისადმი დიდი გერმანელი მწერლის თომას მანის დამოკიდებულების გაცნობა. "რომანტიზნის დამსახურება სამყაროში, - ამბობს მანი, - უდიდესია იმიტომაც, რომ მან შექმნა მეცნიერება მშვენიერებაზე, ასევე, ესთეტიკური სწავლება. პოზიტივიზმმა, რაციონალისტურმა რომანტიზმმა ამის თაობაზე აუწყა სამყაროს, რომელიც კლასიციზმთან ჩახვეული მოწყენილობისაგან კვდებოდა. აღიარა რა პიროვნების უფლება და სპონტანური ვნებების ფასი, რომანტიზმმა გააპოეტურა ეთიკა, ნაციონალური წარსულიდან ამოზიდა ზღაპრებისა და სიმღერების განძი, ბრწყინვალედ გამოვიდა ფოლკლორის დასაცავად და ეს ყველაფერი მის მრავალფეროვან მოზაიკაში იძენს თავისებური ეგზოტიკის ნიშნებს" (Mann, 1947:182).

მანი აგრძელებს: "იმავდროულად, რომანტიკოსების კრიტიკული დამოკიდებულება თანამედროვეობისადმი და სწრაფვა წარსულისკენ, ხელს უშლიდა მათ, რაციონალურად და ფხიზლად განესაზღვრათ ისტორიული განვითარების შესაძლებლობები და ამის გამო აღმოჩნდნენ ჩათრეულები ირაციონალიზმში, ავადმყოფურ პესიმიზმში.

ავადმყოფური განწყობა კი აისახა ფილოსოფიაზე და რომანტიკული მიმართულების ლიტერატურაზეც... ეს მწარე ჭეშმარიტებაა ყველასთვის, ვისაც უყვარს რომანტიზმი მისი ცოდვებითა და სიკეთეებით. ეს ის რომანტიკული პარადოქსია, როცა წარმოადგენ ცხოვრების ირაციონალურ ძალას, ჯანყდები აბსტრაქტული გონის, ინტელექტუალიზმის წინააღმდეგ, ხოლო თვითონ ღრმა ნათესაურ კავშირში ხარ სიკვდილთან.

და ეს იმიტომ, რომ ასე მიჯაჭვული ხარ ირაციონალურთან, წარსულთან" (Mann, 1947:186).

არადა, გვიანი რომანტიკოსები სწორედაც ავადმყოფობას განიხილავდნენ ცხოვრებისა და შემოქმედების ნაყოფიერ წყაროდ.

მომაკვდავი კლასი კი მე-19 საუკუნის ზღურბლზე ფეოდალური არისტოკრატია იყო. აქედან მომდინარეობდა რომანტიკოსების მწვავე რეაქციაც ფრანგულ რევოლუციაზე და მასთან დაკავშირებულ განმანათლებლობაზე. ისინი ყველაფერს შუასაუკუნეობრივ რომანტიკულ პრიზმაში აღიქვამდნენ და, ამიტომაც აიდიალებდნენ ფეოდალიზმს. მათი სოციალური შეხედულებები მიმართულია იქეთკენ, რათა მოახდინონ აბსოლუტურად თავისუფალი და ჰარმონიული სამყაროს ერთგვარი კონცენტრირება, რომელშიც ინდივიდის ქმედება განპირობებული იქნება სულის პრიმატით, მაგრამ არა რეალური ცხოვრების გარემოებებით.

თუმცა, ეს ნაკლებად ეხება იმავე თომას მანს, რადგან მან იცის, რომ რომანტიზმს, როგორც ესთეტიკურ მსოფლმხედველობას, არ ძალუძს, გადაჭრას ურთულესი სოციალური პრობლემები. შეიძლება ითქვას, რომ მანი გაორებულია, რადგან ერთის მხრივ, "ცხოვრების ფილოსოფიის" ნიცშეანური ვარიანტის მიმდევარია, ხოლო მეორეს მხრივ, თავის გენიალურ ფილოსოფიურ რომანში "ჯადოსნური მთა" (1924 წ.), სერიოზულად სცილდება რომანტიკულ მსოფლმხედველობას. კიდევ უფრო მკვეთრად ისმის მისი ანტირომანტიკული კრიტიკა რომანში "დოქტორი ფაუსტუსი" (1947წ.). შემთხვევით არ უწოდებს მანს ინტელექტუალური რომანიზმის მამამთავარს ჩვენი შესანიშნავი, შეუდარებელი გერმანისტი, აწ გარდაცვლილი დიდებული მთარგმნელი და მეცნიერი დალი ფანჯიკიძე.

არადა, მანმა, ერთ-ერთმა პირველმა, მიუხედავად ნიცშესადმი განსაკუთრებული სიმპათიისა, შეძლო, გადაელახა სიკვდილის კულტის სიმპათია და ამის კლასიკური მაგალითი სწორედ "დოქტორი ფაუსტუსია".

უნდა ითქვას, რომ, ზოგადად, რომანტიკოსები სამყაროში ეძებდნენ ეპოქის განუმეორებელ ინდივიდუალურ-ისტორიულ თავისებურებებს, კულტურის ნაციონალურ ხასიათებს. ისტორიზმი მათი მსოფლმხედველობის დამახასიათებელი ნიშანია. ზოგადი მათთვის წარმოუდგენელია კონკრეტულის გარეშე. ფილოსოფიურ სისტემას მათ დაუპირისპირეს ფილოსოფიური პოეზია, ფილოსოფიურ კატეგორიას კი - მხატვრულ-მითოლოგიური სახე.

აღსანიშნავია, რომ ევროპელი რომანტიკოსები პატრიარქალურ აღმოსავლეთში ეძებდნენ მათთვის ახლობელ ირაციონალიზმს და მისტიციზმს, საუკუნეობრივ ტრადიციებს. ერთი სიტყვით, ყველაფერ იმას, რაც განვითარებული დასავლეთისთვის შორეული წარსულია, ხოლო

თანამედროვე პირობებში-სენტიმენტალურ მოგონებათა საგანი.

თუმცა, არსებობს რომანტიზმის უფრო პროგრესული ფრთა და მას პროგრესული რომანტიზმის სახელით იცნობენ. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრესული რომანტიზმის სოციალური შეხედულებები საფუძველშივე ატარებდა პროგრესულ შინაარსს, გამოირჩეოდა როგორც ანტიკაპიტალისტური, ისე ანტიფეოდალური ხასიათით.

კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად, რომანტიზმში იზრდება კონსერვატიული ტენდენციები. მაგალითად, იენის რომანტიკოსთა მსოფლმხედველობაში ჩადებული იყო ფრანგული რევოლუციის ნარატივები. ყველა ისინი რაღაც ხარისხით იკვებებოდნენ რევოლუციური ეპოქის ოპტიმისტური იმედებით.

დიახ, არ იზიარებდნენ განმანათლებელთა იდეებს აბსოლუტურ პროგრესზე, მაგრამ ასევე არ მიესალმებოდნენ აწმყოს, არსებულის ნიჰილისტურ უარყოფასაც. წარსულისადმი მათი ვნება, ანუ ანტიკურობისა და შუა საუკუნეების იდეალიზაცია განპირობებული იყო სწრაფვით, აეღოთ მათგან უმთავრესი ელემენტები: ანტიკურობიდან-ადამიანისა და ბუნების უდიდესი კავშირის თაობაზე, შუასაუკუნეებიდან - წარმოდგენები სულიერ საწყისზე, გამაერთიანებელ კოსმოპოლიტურ პრინციპზე.

ასე რომ, პროგრესული რომანტიკოსები კრიტიკულად აღიქვამდნენ, როგორც ბურჟუაზიულ აწმყოს, ასევე ფეოდალურ წარსულს. მომავლისადმი კეთილგანწყობით, ისინი ცდილობდნენ, რაღაც ხარისხით შეემეცნათ კაპიტალიზმის სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევები იმ იმედით, რომ შეეცვალათ მისი უტილიტარული ხასიათი. ისინი ოცნებობდნენ თავისუფლებასა და სოციალურ სამართლიანობაზე ორიენტირებულ საზოგადოებაზე, ამასთან, ემხრობოდნენ საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის იდეას.

რეაქციული რომანტიკოსები კი, პირიქით, თავიანთ იდეალებს პატრიარქალურ შუასაუკუნეებში ეძებდნენ. ისინი აიდიალებდნენ შუასაუკუნეობრივი ეპოქის კულტურას, გამოდიოდნენ არა მხოლოდ კაპიტალიზმის, არამედ ასევე მისი პროგრესული მიღწევების -სამრეწველო წარმოების, ტექნიკის, მეცნიერების, ლოგიკის და ა.შ წინააღმდეგაც.

ზოგადად, რომანტიკოსები ბუნებისა და ღმერთის შესაცნობად, პირველ ადგილზე აყენებდნენ არაგონით მეთოდებს, რადგან მეცნიერება უძლურია ახსნას ჭეშმარიტება. ჭეშმარიტება, მათი აზრით, მიიღწევა "გულით" და ინსტიქტით, საგანთა საიდუმლო ბუნებაში მისტიკური შეღწევით.

მათი შეხედულებით, ლოგიკური ანალიზი დასაწყისშივე კლავს ცოცხალის ორგანულ მთლიანობას, ხოლო შემდეგ უკვე სწავლობს მის მკვდარ შემადგენელ ნაწილებს. მხოლოდ ხელოვნებას და რელიგიას ძალუძს, ჩაწვდეს სინამდვილეს, მოვლენათა ცოცხალ სულს.

და ბოლოს, რომანტიზმის უდიდესი წარმომადგენელი, დიდი გერმანელი მოაზროვნე, ლიტერატურული მიმდინარეობის, "ქარიშხალი" თეორეტიკოსი - იოჰან გოტფრიდ ჰერდერი (1744-1803) წერდა, რომ კაცობრიობა შედგება ნაციათა კულტურებისგან, ხოლო მათი ღირებულება კულტურულ სპეციფიკურობასა და "უნიკალურობაშია" (Гердер 2013:197).

აქედან იწყება მულტიკულტურალიზმისა და ფოლკროლური კულ-ტურებისთვის სახელის ერთგვარი მოხვეჭა. რომანტიზმმა წამოაყენა, "ფესვების"იდეა, ანუ მიბრუნება წარსულისკენ, ტრადიციებისკენ, რო-გორც იდენტიფიკაციის მთავარი ფაქტორისკენ. შესაბამისად, სახელმწიფო (ერი-სახელმწიფო) „საერთო ფესვების ნიშნით", მოიაზრებოდა, როგორც ადამიანთა ნებაყოფლობითი გაერთიანება.

ამიტომ, არ არის მოულოდნელი, რომ რომანტიზმი ერთგვარად იქცა ნაციონალიზმის ენად. რომანტიზმის კომბინაციამ დარვინიზმთან, ყველაზე მწვავე პერიოდში - მე-19 საუკუნეში, კაპიტალიზმის ინდუსტრიალიზაციისა და განვითარების პერიოდში, მისცა მას შესაძლებლობა, აღექვა თითოეული ნაციონალური გაერთიანება, როგორც კულტურული და ბიოლოგიური უნიკალურობა.და ის განსხვავდებოდა ნებისმიერი სხვა საზოგადოებისგან, მისი არსებობა კი აღიქმებოდა როგორც ბრძოლა გადარჩენისათვის.

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ასეთი იდეები კაცობრიობისთვის დამანგრეველ პრაქტიკად იქცა (ორი მსოფლიო და მრავალრიცხოვანი ლოკალური ომი).

სწორედაც ნაციონალიზმმა მე-20 საუკუნეში გვაგრძნობინა, რომ ის სერიოზული პრობლემაა და მისი უგულებელყოფა დაუშვებელია.

ასე რომ, თუ რბილად ვიტყვით, რომანტიზმი არ არის ისეთი უწყინარი, "მამა აბრამის ბატკანი", როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

თუ გავიხსენებთ ისეთ დიდ ნეორომანტიკოსებს, როგორებიც იყვნენ თვით ვან დერ ბრუკი, ლაგარდი და მათი მიმდევრები, მნიშვნელოვანწილად, სწორედ მათ შეუწყვეს ხელი ფაშისტური იდეოლოგიის ჩამოყალიბებას, ანუ სერიოზული როლი შეასრულეს ფაშისტური სიგიჟის იდეურ მომზადებაში. მათი ეს ფსევდორომანტიკული დემაგოგია მოგვინებით ძვირად დაუჯდება კაცობრიობას, მაგრამ ამ თემას აქ ბოლომდე არ გავყვები და მაქვს ამის მიზეზი, თუმცა, მასზე უფრო სერიოზული მსჯელობა, შესაძლებელი და აუცილებელიცაა.

ერთი სიტყვით, სქოლასტიკის ვნებით გათანგულ-შეპყრობილ რომანტიკოსებთან სიმბოლო, მითი, მხატვრული სახე დაპირისპირე-ბულია ლოგოსთან, ცნებასთან, სამეცნიერო სილოგიზმთან. გამოდის რა კლასიციზმის, აპრიორიზმის კრიტიკით, ასევე აბსოლუტური ჭეშ-მარიტების, ობიექტური კანონების უარყოფით, რომანტიზმი ტოვებს ფართო სივრცეს ფანტაზიისა და თვითნებობისთვის.

მაგრამ, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ რომანტიზმი მხოლოდ ამ ნიშნითაა ცნობილი, რა თქმა უნდა, არა:

მას მეორე, კიდევ უფრო მოარული ნიშნით იცნობენ და ეს მისი დადებითი, ნათელი მხარეა.

არა ერთი რომანტიკული ნაწარმოების ავტორი აღფრთოვანებუ-ლია სილამაზისა და სიკეთის იდეალებით. რომანტიზმის ისეთი შტრიხე-ბი, როგორებიცაა თავისუფლებისმოყვარეობა და უსამართლობისადმი შეურიგებელი დამოკიდებულება, ასევე ჰუმანიზმი და თანაგრძნობა უპოვართადმი, ყველაფერი ეს მისი მნიშვნელოვანი მიღწევაა საერთო საკაცობრიო კულტურის საგანძურში.

და, რადგან ჩვენი პუბლიკაცია, მთლიანობაში მაინც რაციონალიზმ-რომანტიზმის პაექრობას შეეხება, თავს უფლებას მივცემ, ერთი საინტერესო ისტორიაც მოგიყვეთ ისევ ამ სფეროდან, ოღონდ უკვე ორი დიდი ოლიმპოელის მონაწილეობით.

ოლიმპოელებში კი თვით გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელს (1770-1831 წწ.) და მისსავე თანამემამულეს - არტურ შოპენჰაუერს (1788-1860 წწ.) ვგულისხმობ.

ჰეგელზე, ვფიქრობ, ყველამ ყველაფერი იცის (ყოველშემთხვევაში, ვიმედოვნებ).

ის რაციონალიზმის, უფრო მეტიც, პანლოგიზმის დემიურგია.

რაც შეეხება არტურ შოპენჰაუერს, ეს ის მოაზროვნეა, რომელიც აკნინებს რაციონალური შეცნობის მნიშვნელობას, პირველ ადგილზე აყენებს ინტუიციას, ხოლო მომავალში ჩამოყალიბებული ანტისციენტისტი, თვლის, რომ სამეცნიერო შეცნობა მხოლოდ პრაქტიკულ ინტერესს ემსახურება და სამყაროს არსში წვდომა შესაძლებელია არა სამეცნიერო კატეგორიებით, არამედ მხოლოდ მხატვრული და ინტუიციური მეთოდებით.

შემიძლია გითხრათ, რომ შოპენჰაუერის ფილოსოფია ეყრდნობოდა ბუდისტური „ნირვანის» მისტიკურ იდეალს.

ერთი სიტყვით, არტურ შოპენჰაუერი ირაციონალიზმის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული წარმომადგენელია.

ამ ორი გენიოსის გადაკვეთა მოხდა ბერლინის უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრაზე, სადაც შოპენჰაუერი დოცენტის პოზიციაზე მუშაობდა, ხოლო ჰეგელი - პროფესორის.

საინტერესო ის ფაქტია, რომ შოპენჰაუერი ეცადა თავისი ფილო-სოფიური კურსი წაეკითხა, როგორც ალტერნატიული კურსი ჰეგელის ფილოსოფიისა. ამისთვის ის საკუთარ ლექციებს დროში ამთხვევდა ჰეგელისას.შოპენჰაუერმა მარცხი განიცადა, მან მსმენელები დაკარგა.მე-19 ს-ის მეორე ნახევრიდან კი მისმა დიდებამ ნელ-ნელა დაჩრდილა ჰეგელის პოპულარობა, თუმცა ბერლინში განცდილი სალექციო კრახი მისთვის ორმაგად გამაღიზიანებელი აღმოჩნდა, რადგან ის მკვეთრად უარყოფითად აფასებდა ჰეგელის ფილოსოფიას, მოიხსენიებდა მას ფილოსოფიურ ბოდვად, ხოლო თვით ჰეგელს - უტიფარ შარლატანად.

განსაკუთრებით მიუღებელი შოპენჰაუერისთვის იყო შეხედულება დიალექტიკაზე, რომელსაც ის თვლიდა ეშმაკურ ფანდად (ხერხად), რომლითაც ინიღბებოდა ჰეგელისეული სისტემის აბსურდი.

არ ვიცი, ფილოსოფიის მიღმა ადამიანურად რამდენად ესიმპა-ტიურებოდა მას ჰეგელი, მაგრამ შოპენჰაუერი ის მოაზროვნეა, რომლის გენიალურ შემოქმედებაში ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური ნაშრომიც - „ტრაქტატი სიყვარულზე» იძებნება. ამ ტექსტში შოპენჰაუერი მიიჩნევს, რომ „სიყვარული - ეს ერთობ სერიოზული და მისი შეტოვება მხოლოდ პოეტებისთვის, არასწორია».

რომანტიკოსია!

ჰეგელი ამაზე სხვანაირად იტყოდა.

და მაინც, გული მეთანაღრება, თუ ყველას და ყველაფერს „გასამმაგება“

უხდება, მაშინ, რაღა ჩემი ტექსტი აღმოჩნდეს ამ მარადიული ფაბულის მიღმა? ამიტომ, ამ ორს - ჰეგელს და შოპენჰაუერს, მესამეც შევუამხანაგოთ.

და მაშინ, მეც დავმშვიდდები და ჩემი მკითხველიც უფრო იხეირებს.

მესამე, არც მეტი, არც ნაკლები, ამ ორის თანამემამულე ოსვალდ შპენგლერია (1880-1936 წწ.).დიახ, ნეორომანტიკოსი ოსვალდ შპენგლერი, რომლის ერთობ სკანდალურ-გახმაურებული წიგნი „ევროპის აღსასრული“, დღემდე სერიოზული მსჯელობის საგნად რჩება.

შოპენჰაუერის მსგავსად, ისიც ცხოვრების ირაციონალური აღქმის რეჟიმშია, ანუ აღიარებს ინტუიციას.

თემა კი - „ევროპის აღსასრული“ „მშობლიური“ თემაა ევროპელი რომანტიკოსებისთვის. შპენგლერი ამაში უდავო ჩემპიონია, მაგრამ ევროპის აღსასრულის პრობლემას ის პანიკური შიშით აღიქვამს.

შპენგლერის აზრით, ჰუმანიტარული კულტურა კვდება, მის შესაცვლელად კი მოდის ცივილიზაცია, რომელიც კულტურის გარდაუვალ სიკვდილს გამოიწვევს. „ბუნებრიობა, შემოქმედება, სულიერება ტრაგიკულად იღუპებიან დასავლურ სამყაროში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის „სატანისტური» ძალების ზეწოლის შედეგად» (Шпенглер, 1923:129).

შპენგლერი ცივილიზაციას, როგორც საზოგადოების განვითარების ტექნიკურ-ბიუროკრატიულ საფეხურს, უპირისპირებს კულტურას, სულიერებას, ჭეშმარიტ ჰუმანიზმს.

ასეთია ამ ბრწყინვალე სამეულიდან ორის რომანტიკული, ხოლო მესამის რაციონალისტური ვნებანი.

ახლა კი იმაზე, რაც „ტექნიკური რაციონალიზმის“ რადიკალურ-რომანტიკული კრიტიკითაა ცნობილი და ნეორომანტიზმის ერთგვარ რელიგიურ აღორძინებას განასახიერებს.

60-იანი წლების ბოლოს ამერიკაში ყალიბდება საკმაოდ ცნობილი იდეური მიმდინარეობა სახელწოდებით „კონტრკულტურა“.

„კონტრკულტურის“ ყველაზე ღრმა ფესვები უკავშირდება ნაციონალურ რომანტიკულ ტრადიციას. პირველ რიგში აღსანიშნავია მე-19 ს-ის ტრანსცენდენტალისტების - ფილოსოფოს იდეალისტების, მწერლების და საზოგადო მოღვაწეების შემოქმედება.მათ შრომებში შეინიშნება ის ნარატივები, რომლებიც ამა თუ იმ ხარისხით დამახასიათებელია „კონტრკულტურის“ წარმომადგენელთა მსოფლმხედველობისთვის: ბურჟუაზიული ცივილიზაციის მწვავე კრიტიკა და მკვეთრად გამოკვეთილი ანტირაციონალურ-ანტიტექნიკური და ანტისციენტიკური მოტივები. ასევე ბუნების კულტი და განსაკუთრებული ყურადღება სულიერი კულტურისადმი.

ამასთან, ამერიკელი ნეორომანტიკოსები იყენებენ თავიანთ თანამედროვეთა ზოგიერთ იდეას, კონკრეტულად კი „ფრანკფურტის სკოლის“ თეორეტიკოსებისას (ჰ.მარკუზე, ტ.ადორნო), ეხმაურებიან „ფსიქოანალიზის სკოლის» წარმომადგენელთა ნააზრევსაც (ზ.ფროიდი, ე.ფრომი). „ფრანკფურტის სკოლის“ კონცეფციებში მათ მოსწონთ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევებისადმი ნიჰილისტური და-

მოკიდებულება, ასევე განმანათლებლური რაციონალიზმისადმი გამოთქმული მწვავე კრიტიკა.

რაც შეეხება ფსიქოანალიტიკურ მოძღვრებას, აქ ისინი ემხრობიან იდეას იმის თაობაზე, რომ ადამიანთა ქცევები მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ფსიქიკის გაუაზრებელი, ინსტინქტური მოტივებით.

მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის წინააღმდეგობრივი განვითარება ხელს უწყობდა ტრადიციული რომანტიკული წარმოდგენების გამოცოცხლებას. ეს იყო აზრი მეცნიერების, ტექნიკის და მრეწველობის დეჰუმანური როლის, ასევე ჰუმანისტური კულტურის მესიანისტური მისიის შესახებ.

„კონტრკულტურა“, ანუ ტექნიკური კულტურის საპირისპირო კულტურა არის ერთგვარი გამოცოცხლება ახალი სულიერი მოძრაობისა, რომელთა მომხრეებიც, ძველი პრინციპისა და ხელოვნური გარემოს ნაცვლად, თავიანთ შეიარაღებაში იყენებენ წარმოდგენების პრინციპს, ანუ მეცნიერების რეალურობის ნაცვლად, მისტიკის რეალურობას, ტექნიკური რეალურობის ნაცვლად - პოეტიკურ (პოეტურ) რეალურობას.

ვინ არიან ამ „სულიერი რეგენერაციის“ მატარებელნი? ესენი არიან ახალგაზრდები, რომლებიც პროტესტს გამოთქვამენ ისტებლიშმენტის, ბურჟუაზიული უტილიტარიზმის წინააღმდეგ. მათ არ სურთ, იქცნენ ბურჟუაზიული საზოგადოების დამჯერე, ყურმოჭრილ მოქალაქეებად.

„კონტრკულტურის“ სათავეებთან იდგნენ ბურჟუაზიული, კაპიტალისტური ცხოვრების წესის წინააღმდეგ პასიური პროტესტის მომხრეები, მისტიკურად განწყობილი „ჰიპები“, რომლებიც გამოდიოდნენ არსებული „წესრიგის“, ასევე სიყალბის, თვალთმაქცობის წინააღმდეგ.

მათი ფასეულობები ემოციურ ურთიერთობებზე და მგრძნობელობით სპონტანურობაზე გადიოდა.

მისტიციზმი, მიმბაძველობა აღმოსავლური რელიგიებისადმი, უარი შემოქმედებით შრომაზე, მხატვრული კულტურის ნეოავანგარდისტული ფორმების აბსოლუტიზაცია, ტექნიკის მიღწევების უარყოფა - ასეთია „კონტრკულტურის“, როგორც სოციალური მოვლენის დამახასიათებელი ნიშნები.

ბუნტარი ახალგაზრდა ადამიანები და მათი „იდეოლოგები“ გამოდიოდნენ ტექნიკური პროგრესის წინააღმდეგ და მის ნაცვლად საზოგადოებას სთავაზობდნენ „თავისუფალ“ კულტურას, რომლის საფუძველსაც ქმნიდა პანთეისტური რელიგიონიზმი, ბუნების კულტი, როგორც ბუნებრივი ცივილიზაციის მიერ ხელშეუხებელი გარემო, ასევე ირაციონალური, ინტუიციური მიდგომა ზნეობრივი პრობლემებისადმი.

სწორედაც თანამედროვე ეპოქაში, თვლიან ისინი, მთელი სიცხადით გამოვლინდა ის, რაზეც წინასწარმეტყველებდნენ ადრეული რომანტიკოსები - ჰუმანიზმის კრიზისი, როგორც შედეგი მატერიალური პროგრესის განვითარებისა.

რეალურად ისინი აყენებდნენ რადიკალიზმის ძველ იდეებს, რომლებიც რეალურად არ სცილდებოდა ბურჟუაზიული ცხოვრების წესის კრიტიკის „კულტურულ“ ჩარჩოებს.ანუ მათი მიზანი იყო კაპიტალისტური

ფორმაციის ფარგლებში ცხოვრების ახალი წესისა და სტილის, ზნეობისა და ფასეულობათა ახალი სისტემის, „ახალი კონტრსამყაროს“ - რომანტიკული სამყაროს შექმნა.

ასეთია ჩემეული დამოკიდებულება რომანტიზმისადმი, როგორც ანტირაციონალისტური და ანტიინტელექტუალური სიმბოლოსადმი.

მთლიანობაში, ასეთია რომანტიზმი თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით.

დასკვნა

ასე რომ, რომანტიზმ-რაციონალიზმის, როგორც ორი ურთიერთდაპირისპირებული მსოფლმხედველობის შესწავლისათვის, როგორც ჩემეული მოსაზრებები, ასევე გამოყენებული წყაროები გარკვეული მნიშვნელობის მატარებელია. აქ გამოთქმული აზრები და შეხედულებები უფრო მეტი სიცხადით წარმოაჩენენ ამ ტრადიციული მიმდინარეობების ბუნებას და ხასიათს.

აღარაფერს ვამბობთ იმ „ეგზოტიკურ“ გამოვლინებებზე, რაც რომანტიზმის, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის ასევე განუყოფელი შემადგენელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

Bergson, A. (2009). Tvorcheskaia evolutsia (Бергсон, А. (2009). Творческая еволуция).

Mann, Th. (1947). *Deutschland und die Deutschen*.

Gerder, I. (2013). Idea k filosofii istorii chelovechestva (Гердер, И. (2013). Идеи к философии истории человечества).

Shplengler, O. (1923). Zakat Evropi(Шпенглер, О. (1923). Закат Европы).

Паата Гергаия
Профессор Кавказского университета, Доктор наук
ORCID ID: 0000-0002-2263-7366
599 42 35 50, Эл. pgergaia@cu.edu.ge

Антирациональная природа романтизма

Резюме

Романтический бунт против классицизма и рационалистических тенденций просветительского реализма хорошо известен.

Романтизм – это культурное течение, возникшее как реакция на Просвещение.

Сначала он появился в литературе, а затем проник и в науку, и в политику.

Романтики воспринимали все через призму средневекового романтизма и потому идеализировали феодализм. Их социальные воззрения направлены туда, чтобы передать такое представление о свободном и гармоничном мире, в котором действия личности будут обусловлены приматом души, а не

реальными обстоятельствами.

Вообще романтики ищут неповторимые в мире индивидуально-исторические черты эпохи, национальные характеры культуры.

Историзм – отличительная черта их мировоззрения.

Общее – с ними немыслимо без конкретики.

Философской системе они будут противопоставлять философскую поэзию, а философской категории – художественно-мифологическое лицо.